# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 75 | კვირა, 15 დეკემბერი 1902 წ. | გაზეთის № 2014.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო ტრესტი*)

(ფრანგულიდან)

ფერდინანდ ბაკისა



შევიტყე თუ არა, რომ სახელგანთქმული უილიამ კოქსი, მსოფლიო ტრესტის ინიციატორი, ჩვენ ქალაქში იყო, მაშინვე ვეახელ „პალასედემ-ექსელელსიორ“-ის სასტუმროში; მინდოდა ცოტ არამ გამეგო ახალ ტრესტის შესახებ. უილიამ კოქსმა მიამბო შემდეგი:

„დიახ, ყმაწვილო, საზოგადოება უკვე შესდგა: მისი თანხა უდრის 1,800 მილიარდს. გინდათ შეიტყოთ, თუ რა მიზანი გვაქვს? უნდა აღვადგინოთ კაცობრიობა, რომელიც



ბავშვობაში ჩავარდნილა, მივსცეთ მას ახალი ძალა და შემდეგ ჯიბეში ჩავიდოთ...

გეცოდინებათ, რომ ყველა გვირგვინოსნებთან დაახლოვებული ვარ და მეგობრულად მექცევიან. ერთხელ, როცა მე და ერთი გვირგვინოსანი ხელი-ხელ გაყრილი დავსეირნობდით და ვმასლაათობდით, ფიქრად მომივიდა უზარ-მაზარი იდეა მთელ



დედა მიწის მომქმედ ძალთა შესყიდვისა, რომ ყველას ერთ ხელში, ჩემსაში, მოეყარა თავი.

პირველი ტიკტიკი ამ იდეისა იყო „ზღვაოსნობის ტრესტი“, მაგრამ ეგ ხომ საბავშვო სათამაშოა, იმდენად მნიშვნე-



ლოვანი, რომ თავს შეაქცევინებს ჩვენ პატარა ბავშვებს. რა დიდი საქმეა ტიუილერის აუზის ოდენა ატლანტიკის ოკეანეს გემების ხელში ჩაგდება!

უპირველესად ყოვლისა ჩვენ ეხლა არსებულ ჯარის მაგიერ შევადგენთ მთელ დედამიწის ყველა მუ-



შების „მშვიდობიანობის ჯარს. თქვენ ეხლავე შეგიძლიათ თვალ-წინ წარმოიდგინოთ ბრწყინვალე ცერემონიალური მარში... ტრესტი მუშის შრომისა!



არც ზარბაზანი! არც თოფიარაღი! ყუმბარა შაქრის თავი იქნება, ტყვია—ჰოლანდიის ყველი!

ყველა მეფეებსა და მთავრებს უარს ვათქმევინებთ მათ მომქანცველსა და საშიშარ ხელობაზე ჭ ვაგემებთ მდიდრულ განმარტოების სიტკბოებას. ამ მიზნისათვის დავაარსებთ „მეფეთა კლუბს“, რომელიც



გემოვნებისა და მოხდენილობის საუცხოვო მაგალითი იქნება...

*) ტრესტი ინგლისური სიტყვაა, ჰნიშნავს დიდ სავაჭრო ან სამრეწველო კამპანიას (საზოგადოებას).

რაკი გვირგვინოსნებს ერთ სახურავ ქვეშ მოვუყრით თავს, მაშინ ვიფიქრებთ იმაზე, რომ შევკრიბოთ ერთად ადამიანის გონების ერთ უზარმაზარ ტაძარში კაცობრიობის ყველა დიდებული პირები: ამ ტაძარში, სადაც ხუთას მეტრის სიგრძე კოლონა-



და იქნება, დიდებისა და სახელის ეს ცოცხალი ძეგლები შეუდგებიან თავიანთ ჰაზროვნულ მუშაობას; ალტაცებული ხალხი კი უყურებს მათ, რაც მათთვის, რასაკვირველია, უსარგებლოდ არ ჩაივლის.

ჩვენ დავყოფთ ზღვისა და მდინარეების ძირს რამდენიმე ნაწილად და ჩავაბარებთ წყლის სამეფოს ზრუნვას საგანგებო მყურყუმალავებელთ, რომელნიც შესაფერად იქნებიან შეიარაღებულნი.



განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ვაჭრობას და მრეწველობას, და საჭმელ-სასმელის მთელი ნაწარმოები ერთ გამგეობის ხელში იქნება. მაგალითად, ვიყიდით მთელ ქვეყნის ძროხებს, რომელთაც ელექტრონის საშუალებით მოსწველიან, და გამოვა რძე გემრიელი, სუფთა და ბაცილებს მოკლებული... რომელიც საგანგებო მილების საშუალებით ძროხიდან პირდაპირ კერძო სახლების ონკანებში (კრანი) მიუვა წლიურ აბონენტებს. ეს სრულებით მოსპობს ყოველგვარ სიყალბეს.






მოვსპობთ ჩვენ ბარბაროსულ საზოგადოების იარას—მოსამსახურეობას, რაც მონობის ნარჩენია. **„საჭმელ-სასმელის ტრესტი“** მიაწვდის ყველას თავ-თავის დროზე სადილ-ვახშამს საგანგებო მანქანების საშუალებით, რომელიც წარჩინებულ



საზოგადოების ერთმა მანდილოსანმა, m-e პომპადურმა, გამოიგონა თავის „ფაიფ ო'კლოკ“-ისათვის.



აგრეთვე ყველა ის საქმე, რომელსაც ოჯახში ეხლა მოსამსახურე აკეთებს, შესრულებული იქნება „ცენტრალურ ავტომატიურ დაწესებულების“ მიერ (Central automatique Office).

ერთ ადგილს უნდა გადავიტანოთ და თავი მოვუყაროთ ყველა შესანიშნავ მონუმენტებს (შენობებს), რომ უფრო ადვილად და მოხერხებულად ნახოს იგი მსურველმა ტრამვაის სა-



შუალებით. ამ საგანს საგანგებოდ უნდა შესწავლა, რაც, დარწმუნებული ვარ, ალტაცებაში მოიყვანს ყველას, ვისაც კი დიდებული რამ უყვარს. ყველა მონუმენტები ჩამწკრივებული იქნება მეტად ვრცელ მოედანზე, სადაც წაბლის ხეივანი იქნება გაშენებული...

ამავ გრძნობის ზედ-გავლენით განზრახვა გვაქვს შევიძინოთ მხატვრობის ყველა შესანიშნავი ნაწარმოები; დავიწყებთ რაფაელის ას სამოცდა ხუთი მადონის შეძენით, რადგან ეს საქონელი ბაზარში ეხლა უფრო მეტად ფასობს. ეს იქნება **„მხატვრობის ტრესტი“!**



ვიყიდით ყველა გზებს; გზებზე გაკეთებული იქნება ხარიხები, რომ გაქანებულმა ავტომობილმა თავიდან არ აიცილოს დაწესებული გადასახადი.




ჰაერონავტიკის განვითარება გვაიძულებს მაღლა ჰაერში თოკები გავაბათ და მზვერავი პუნკტები დავაწესოთ, რომ გადასახადი ავილოთ ჰაერონავტებისაგან ჰაერში მოგზაურობისათვის. და ეს იქნება, თუ გნებავთ, „ჰაერის ტრესტი“...



მაგრამ ამისათვის ჩვენ მიწას არ დავივიწყებთ! მსოფლიოს ყველა ლამაზი კუთხეები, რომელთა ერთ ადგილზე გადატანა უსარგებლო ხარჯს გამოიწვევდა, გარშემოვლებული იქნება მაღალის ლობით; 'იქვე გამართული იქნება მდიდრულად მოწყობილი „სალონ-ტერასები“ ტურისტებისათვის, რომელნიც ფულს გადიხდიან. ყველა ჩანჩქერი განათებული იქნება დ ყველგან მუსიკას მოისმენენ.



მაღალ მთების სუფთა ჰაერით ეხლა სულ მცირე ხალხი სარგებლობს და მერე ისეთი, რომელიც მას დიდ მნიშვნე-

ლობას არ აძლევს დიდ ქალაქებში კი მოწამლულ ჰაერს სუნთქავენ. ჩვენ წამალს



დავდებთ ამ საერთო უბედურებას: ვიყიდით ყველა მაღალ მთების სუფთა ჰაერს და შემდეგ დიდ ქალაქებში „მჟავბადის დაწესებულებიდან“ მივყიდით ნაწილნაწილ კერძო სადგომებს, საავადმყოფოებს და იმ სახლებს, სადაც ახლოს საპნის, კაუჩუკის (რეზინა) ან ხელოვნურ სასუქის ქარხნებია.



ყველა მადნეული წყაროც ტრესტის საკუთრება იქნება და დარწმუნებული იყავით, რომ მეტ სარგებლობასაც მოიტანს ზომიერებისა და სიფხიზლის საზოგადოებასთან შედარებით.

მაგრამ ეს ყველა-დიდი არაფერია, ყმაწვილო. ჩვენ უფრო მაღალი მიზანი გვაქვს! უნდა შევარიგოთ ყველა ხალხები და მათ შორის ძმური გრძნობა განვამტკიცოთ. ერთმანერთი რომ უკეთ გაიცნონ, ყველას თითოეულად მოვსთხოვთ, რომ მეორის კანით შეიმოსოს.



პითევერ-დე-კანარის ნატარიუსი ვალდებული იქნება შეითვისოს ჩინელ მეცნიერის ლი-ალაი-ტუს ზნე-ჩვეულება, და მანდარინი ჩაიცვამს ევროპიულ სადღესასწაულო რედინგოტს.



ურალის ყაზახი ჩაიცვამს ტორეადორის მომხიბლველ ტანისამოსს და მით უარესი სენეგალის ზანგისათვის, თუ მას დასცხება მის მეგობარ ესკიმოსის ტანისამოსში.



ევროპიელი ჯენტლმენი გაუცვლის თავის უკანასკნელ მოდაზე შეკერილ ტანისამოსს ხალიჩებით მოვაჭრე ოსმალელს და გერმანელი სტუდენტი გამოხვევს თავის ლუდით გაბერილ მუცელს სიფხიზლით განთქმულ არაბის ბურნუსში. ამ გზით ისინი საუკეთესოდ გაეცნობიან ერთმანერთს და იგრძნობენ, რომ ერთი ოჯახის წევრები არიან... ეს მეოჯახის ტრესტია, ბატონო ჩემო!



დამავიწყდა მეთქვა, რომ „ხელოვნების ტრესტი“ კონფისკაციით შეიძენს ყოველ ხელოვნურ ნაწარმოებს გათავებისათანავე ან, თუ შესაძლებელი იქნა, მანამდისაც, რათა დაამშვენოს გზები და სხვა ადგილები: წაბლის ხეივანი და მანძილის მაჩვენებელი სვეტები მონოტონურ ერთ-გვარობის შთაბეჭდილებას მოახდენს.



ამ წვრილმანების ჩამოთვლის შემდეგ გეტყვით იმას, რაც დააგვირგვინებს ჩვენ უზარმაზარ პროექტს. ორის სიტყვით აგიხსნით: ერთ ვრცელ განკერძოებულ ბაღში თავს მოვუყრით ყველა იმ პირებს, რომელნიც ხელს უწყობენ ადამიანის გადაგვარებას, მის ძალღონისა და უაღრეს ნიჭის შესუსტებას; სახეში მაქვს ჩიყვიანები, მელოტები, კოჭლები, ბრუციანები, მსუქნები, კრეტინები და საზოგადოთ ყოველი არსება, რომელიც მავნებელი და უშნო არის. რადგან ამათ არავითარი კავშირი არ ექნებათ თანამოქალაქეებთან, რასაკვირველია, უჩამომავლოთ ამოწყდებიან.



ყველა ცუდი ხასიათის პირებსაც ესევე მოვეპყრობით: ყველა ანჩხლი, იჭვიანი, მოჩხუბარი ბ მლანძღველი ერთად იქნებიან თავმოყრილი და ერთმანერთს სიცოცხლეს მოუსწრაფებენ ისე, რომ საგანგებო ზომების მიღება საჭირო არ იქნება.





რაღა ნაკლი ექნება ჩვენ ტიტანისებურ საქმეს! მომყევით თუ შეგიძლიათ, ჩემ შემოქმედ აზრის საარაკო სიმაღლემდე: შევისყიდით ყველა მშვენიერ და კეთილშობილ არსებას, რომ შევქმნათ ახალი კაცობრიობა ადამიანის გა-ნახლების ბაღებში, განცხრომისა და სიტკბოების ადგილებში, იცხოვრებენ იდეალურ მშვენიერების განხორციელება ბ ვარდყვავილებით დაბმული არ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

სებანი. ესენი შეუ-ღლდებიან ჩვენ მიერ ერთად თავმოყრილ საგანგებო ვაჟებს, რომელნიც შესანიშ-ნავი იქნებიან თავიანთ ძალ-ღონით, ენერ-გიით და სათნოებით: „მსოფლიო ტრესტი, 1,800 მილიარდის თანხით, ღმერთის სა-ქმეს იზამს!...





მართლა, დ.მავი-წყდა მეთქვა, რომ ყველა სიგარებსაც ჩვენ შევისყიდით...“

# ღ ვ ი ნ ო

### არაბული ლეგენდა

(იტალიანურიდან)

როცა ნოემ ვაზი დარგო,—ამბობენ არაბნი,—მივიდა ეშმაკი და ვაზის ძირი ფარშევანგის სისხლით მორწყო; ვაზმა ყლორტები რომ გამოისხა, მოსარწყავად ეშმაკმა მაიმუნის სისხლი მიიტანა; ვაზი მტევნებით დაიხუნზლა—ეშმაკმა ლო-მის სისხლით მორწყო; ბოლოს მტევნები დამწიფდა—ეშმაკმა მოსარწყავად ღორის სისხლი მოიტანა.

არაბნივე დასძენენ რომ ღვინოს ოთხის ცხოველის თვი-სება აქვსო: პირველ ჭიქებზე კაცი აჭიკჭიკდება, კვეხნას იწყებს და ფარშავანგსავით ამპარტავნობს; პირველ ჭიქებს მოემატება, მსმელი შეზარხოშდება, ამოძრავდება და მაიმუნ-სავით ცმუკვას იწყებს; დალევს კიდევ—მძაფრდება, როგორც ლომი; კიდევ რომ გადაჰკრავს—ძირს იშხლართება და ღორ-სავით მიეძინება.

# ნ ა რ ე ვ ი

საჭიროა თუ არა ბავშვები სიცივეს შეაჩვიონ. საზოგადოდ იმ აზრისანი არიან, რომ ბ.ვშვები პატარაობიდანვე უნდა ცივ წყალში ბანაობით შეაჩვიონ სიცივეს, თუ უნდათ მოწიფულობაში მაგარი აგებულობისა იყვნენ, გაცივება ასცდეთ და ავადმყოფობა თუ შეხვდეთ, ადვილად აიტანონ. ბევრი ექიმიც ამას ურჩევს, მაგრამ ნამდვილად-კი სულ სხვა ყოფილა, როგორც ეს დაკვირვებიდან აღმოუჩენიათ.

კარლსბადში ამას წინად ბუნების მეტყველთა საერთო კრება იყო და დოქტორმა ჰეკელმა ფრიად საინტერესო მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ბავშვი ხშირად აბანაოთ ცივ წყალში, რომ სიცივის ატანას შეეჩვიოსო. სხვა-დასხვა ხნის 60 ბავშვისათვის უდევნებია თვალ-ყური ამ დოქტორს; ამათგან 20 ბავშვი ერთი წლისანი ყოფილან, 7—ორი წლისანი. ორგვარის წესით აჩვევენ ბავშვს სიცივის ატანას: ცივ წყალში დასველებულ ტილოს წასმით, ან ცივი წყალის გადასხმით და ცივის წყლის ვანნაში ბანებით. ყველაზე ცუდი შედეგი ამ უკანასკნელ წესსა ჰქონია. 62% ამათგანი მძიმედ ავადმყოფნი გამხდარან, მაშინ როდესაც მსუბუქად ცივ წყალში ნაბანთაგან 38% გამხდარა ავად. თურმე ფსიხიურ მხარეზედაც დიდი გავლენა ჰქონია ცივი წყალით ბანებას. 15 ბავშვიდან 7 ნერვებ აშლილი გამხდარა. საზოგადოდ ჯანმრთელი გამოსულა მხოლოდ 19% მაშინ როდესაც 66% სნეულნი და ხშირად ავადმყოფობდნენ თურმე. ამას გარდა ცივი წყალით ხშირად ბანაობა სისხლს უკლებს ბავშვს, მადას უკარგავს, ძილს უფრთხობს და, ასე გასინჯეთ, ხასიათსაც კი უფუჭებს.

* *
*

როგორ უნდა მომზადდეს კარგი ყავა. წყალში ბევრად თუ ცოტად არეულია კირი და ცარცი. რაც უფრო მეტია წყალში ეს ნივთიერებანი, მით უფრო უგემური გამოვა ამ წყალით მომზადებული ყავა. თუ გნებავთ, ყავას თავისი ფერი და სუნი შერჩეს, იმის მოსადუღებლად ისეთი წყალი უნდა იხმაროთ, სადაც არავითარი სხვა ნივთიერება არ არის. ამისათვის მარტო მინაურულად დაწმენდა არ კმარა, საჭიროა ისე დაიწმინდოს წყალი, როგორც, ვსთქვათ, აფთიაქებში სწმენდენ (დესტილატი). ამისთანა წყალი ჩაის მოსახარშავადაც უნდა იხმარებოდეს და საზოგადოთ ყველა იმ შემთხვევაში, როცა ავადმყოფისათვის რასმე ჰხარშავენ.

*
* *

არა სასიამოვნო მსგავსება. მადრიდის პოლიციის უფროსს ბაროზოს ბრძანება გაუცია პოლიცეილებისათვის ერთ შესანიშნავ ქურდის დაჭერის შესახებ. უფროსს ამ ბრძანებაში ქურდის ნიშნები აუწერია და ამნაირად დაუბოლოვებია თურმე ეს აწერილობა: განსაკუთრებული ნიშანი იმ ქურდისა კიდევ ის არის, რომ ძლიერა ჰგავს მისს უდიდებულესობას მეფე ალფონს მე-XIII.




არჩევნები ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

„ცნობის ფურცელი“
სურათებიანის დამატებით წელიწადში ღირს—6 მანეთი.
1903 წლის ხელის-მომწერთ გაეგზავნება ახალი სურათი
შოთა რუსთაველისა

„მოამბე“
წელიწადში ღირს—10 მან. გაგზავნით 11 მან.
„ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით
„მოამბის“ ხელის-მომწერთ უფასოდ გაეგზავნებათ